



სისტემაში შესვლა

სისტემაში შესასვლელად სამისამართო ზოლში შეიტანეთ მისამართი: **viciadmin.gtu.ge**




გაიარეთ ავტორიზაცია: ელ. ფოსტის ველში შეიტანეთ თქვენი პირადი ნომერი, ასევე პირადი ნომერი შეიტანეთ - პაროლის ველში და დააკლიკეთ ღილაკზე „შესვლა“.



პაროლის შეცვლა

უსაფრთხოების მიზნით გთხოვთ შეცვალოთ სისტემაში შესასვლელი პაროლი.

პაროლის შესაცვლელად დააჭირეთ ფანჯრის ზედა მარჯვენა კუთხეში მოთავსებულ ღილაკზე (იხ. სურათი) და გაააქტიურეთ ბრძანება „პაროლის შეცვლა“.



გამოსული ფანჯრის შესაბამის ველებში შეიტანეთ ძველი და ახალი პაროლი. დააჭირეთ ღილაკზე „დასტური“.

პაროლის შეცვლა

ძველი პაროლი

ახალი პაროლი

გამეორეთ პაროლი


გაუქმება დასტური


სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში უწყისების ნახვა და ქულის დაფიქსირება

ეკრანის ცენტრალურ ნაწილში გამოტანილია უწყისები ფაკულტეტების და სასწავლო კურსების მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ არ ჩანს უწყისები, ფანჯრის მარცხენა არეში ჩამოშალეთ „სასწავლო პროცესი“ და გაააქტიურეთ „უწყისები“.

თქვენი სასწავლო კურსების უწყისების ჩამონათვალი

ID	Bookid	სახელი	კრედიტი	რეალდენობა	სას.წელი	სას.სემონი
231	4747	(08)დაპროგრამებ-საფუძვლები	6	354	2020/2021	საშემოდგომო
232	7442	(08)კომპიუტერულ უნარები	6	354	2020/2021	საშემოდგომო

უწყისის სანახავად და სტუდენტებისათვის ქულების დასაფიქსირებლად გაააქტიურეთ უწყისის გასწვრივ განთავსებული ღილაკი „შეფასება“ .




გამოტანილ ფანჯარაში ასახული იქნება ამ უწყისში ჩასმული სტუდენტების სია (რამდენიმე ჯგუფის შემთხვევაში ჯგუფების მიხედვით დაყოფილი). სტუდენტის მონაცემების გასწვრივ განლაგებულ გრაფებში მითითებულია აქტივობები კვირების მიხედვით, შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების შეფასებები.

		აქტივობა II კვირა	აქტივობა III კვირა	აქტივობა V კვირა	აქტივობა VI კვირა	აქტივობა VIII კვირა	აქტივობა X კვირა	აქტივობა XII კვირა	აქტივობა XIII კვირა	აქტივობა XV კვირა	აქტივობა XVI კვირა	შუალედური გამოცდა	გამი	დოკუმენტური მასალა	დასკვნითი გამოცდა	დამატებითი გამოცდა	საბოლოო შეფასება	შედეგი
1 - 46636	ანესაშვილი ზაქრო	0	1										1	0			1	F
2 - 46409	ბაქრაძე ელენე	0	1										1	0			1	F
3 - 46583	ბოჩიკაშვილი გიორგი	0	1										1	0			1	F
4 - 46598	გამრეკელაშვილი სანდრო	0	0										0	0			0	F
5 - 46430	გუგუშვილი ანრი	0	0										0	0			0	F

შენიშვნა!! თუ უწყისის სტრუქტურა დარღვეულია (მაგალითად, არ ჩანს სტუდენტების გვარები, ან დარღვეულია აქტივობის კვირების სტუდენტების შეფასების უჯრედებთან შესაბამისობა) შეცვალეთ ეკრანის გამოსახულების მასშტაბი (რეზოლუცია), კლავიატურის ღილაკების კომბინაციით „ctrl“ და „-“, ან „ctrl“ და „+“.

ქულის დასაფიქსირებლად სტუდენტის გვარის გასწვრივ აქტივობის შესაბამის უჯრაში დააჭირეთ მასის მაჩვენებლით, რის შემდეგაც ეკრანზე გამოჩნდება შესაბამისი აქტივობის შესატანი ფანჯარა, სტუდენტის გვარისა და მაქსიმალური ქულის მითითებით.



შეფასების უჯრაში შეიტანეთ შესაბამისი ქულა და დააჭირეთ ღილაკს – **„დასტური“**. თუ გსურთ გამოტანილი ფანჯრის გაუქმება, დააჭირეთ ღილაკზე – **„გაუქმება“**.


თქვენ გაქვთ შესაძლებლობა, კონკრეტული სტუდენტის შეფასების ფანჯრიდან გამოსვლის




გარეშე ზემოთ და ქვემოთ მიმართული ისრებით გადახვიდეთ სიით ჩამონათვალში წინა და შემდეგი სტუდენტის შეფასების გრაფებში. მას შემდეგ, რაც დაასრულებთ ყველა სტუდენტის ქულის შეტანას, დააჭირეთ ღილაკზე – **„დასტური“**. თქვენ მიერ შეტანილი ყველა ქულა ერთიანად დაფიქსირდება.

ჯგუფისათვის ან კონკრეტული სტუდენტისათვის წერილის გაგზავნა

უწყისში შესვლის შემდეგ გაააქტიურეთ ზედა კუთხეში განთავსებული ღილაკი **„წერილის გაგზავნა“**.



ვკრანზე გამოდის შემდეგი ფანჯარა



წერილი

გვერდი

სტუდენტები

დსფბსტტს

გაუშვანა

განმარტანა

Insert Video

ველში – „**ჯგუფი**“ მონიშნეთ ჯგუფის ნომერი, ველში – „**სტუდენტი**“ გამოჩნდება შესაბამისი ჯგუფის სტუდენტების სია, მონიშნეთ სტუდენტი/ები. რედაქტორის არეში შეიყვანეთ წერილის ტექსტი და დააჭირეთ ღილაკს – „**გაგზავნა**“.



წერილი

გვერდი
108040

სტუდენტები
ანესაშვილი ზაქრო, ბაქრაძე ელენე, ბოჩიაშვილი გიორგი, გამრეკელაშვილი სანდრო, გუგუშვილი ანრი, თვაური გივი, კობახიძე დაც...

გთხოვთ მომდევნო კვირისთვის წარმოადგინოთ საკურსო პროექტი!

გაუშვანა


გაგზავნა

შეტყობინების ნახვა

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა სისტემის საშუალებით გამოგიგზავნოთ შეტყობინება.

შეტყობინების ფანჯრის მარცხენა არეში ჩამოშალეთ „**კონტაქტები**“ და გაააქტიურეთ „**შეტყობინებები**“. ბრძანების გასწვრივ ჩანს რიცხვი, რომელიც მიუთითებს წაუკითხავი შეტყობინებების (წერილების) რაოდენობას. ფანჯრის მარჯვენა არეში კი - გამოდის მოსული

შეტყობინებები ავტორის მითითებით. მიღებულ შეტყობინებაზე დაკლიკვით შეგიძლიათ წაიკითხოთ ეს შეტყობინება და ამავე ფანჯრიდან მისწეროთ პასუხი.



სისტემიდან გამოსვლა

სისტემიდან გამოსასვლელად უნდა დააჭიროთ ღილაკზე – „გამოსვლა“.

